ხელშეკრულება № 222
ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე
სამუშაოს შესყიდვა

ქ. ზესტაფონი 8 ოქტომბერი 2020 წელი

ერთი მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი, გიორგი გოგლიჩიძე სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: **ზესტაფონი, წერეთლის ქ. N11**
საიდენტიფიკაციო კოდი: **№230087045**
ტელეფონის ნომერი: **0 (492) 25 26 26**
საბანკო რეკვიზიტები: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 3001900000
და მეორე მხრივ, შპს ,,ოქროს საწმისი 2"-ის დირექტორი ზურაბ ბებიაშვილის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ზესტაფონი, სოფელი სანახშირე;
საიდენტიფიკაციო კოდი: **№2300855751**
ტელეფონის ნომერი: **593 970 971;**
საბანკო რეკვიზიტები: სს **,,საქართველოს ბანკი"**
ბანკის კოდი:BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: **GE80BG0000000**159689500

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები",„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშემ **NAT200013611** შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელი. სანახშირის ადმ.ერთ. შმოთების უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობისა და სოფელ მარტოთუბანში მოკლე გზით ასასვლელის მოწყობის სამუშაოების (შემდგომში - სამუშაო) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ისა და დანართი N2-ის შესაბამისად.**

2. **ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;**

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. **სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 51 582.93 (ორმოცდათერთმეტიათას ხუთას ოთხმოცდაორი ლარი და ოთხმოცდაცამეტი თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
2. **დაფინანსების წყარო:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები ;
3. სამუშაოს შესრულების ადგილია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანახიშირე (შმოთების უბანი) და სოფელი მარტოთუბანი);

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში (2020 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით).**

2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმით წარდგენილი, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები

1.ვინაიდან წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება 200000 ლარზე ნაკლებია, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მოითხოვება

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფრორმებიდან ყოველ 30 კალენდარულ დღეში არაუმეტეს ორჯერ, შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნის (აღნიშნული დასკვნ(ებ)ის ღირებულება უნდა დაფაროს მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით) წარმოდგენის შემდეგ. ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

მუხლი 6. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები (განახლებული ინფორმაცია საგადასახადო გირავნობისა ან/და ყადაღის თაობაზე), რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის ან სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

4. ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.
5. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.
6. მიმწოდებელი ვალდებულია ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.
7. ავანსის გაქვითვა მოხდება პროპორციულად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების იმ პროცენტის ოდენობით, რა პროცენტული ოდენობითაც გაიცა ავანსი. ეტაპობრივი ანგარიშწორების შემთხვევაში, ანგარიშწორების ბოლო ეტაპზე წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება იმ მოცულობით, რა მოცულობაც საჭიროა ავანსის სრულყოფილად გასაქვითად.
8. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 7. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **03 (სამი) წელს.**
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.
3. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების **5%,** რომლის დაბრუნება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულებისა და შესაბამისი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 8. სამუშაოს შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.
2. სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს პროექტის მოთხოვნებს და საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების (მოქმედების ვადის მქონე), შესრულებული სამუშაოების და გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული კვლევის (აკრედიტირებული ლაბორატორიების მიერ გაცემული) შედეგების/დასკვნების (ლაბორატორიული კვლევების ხარჯებს იხდის მიმწოდებელი) წარმოდგენა და მათი მიკვლევადობა. სერტიფიკატების უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.
3. ახალი კორონა ვირუსის (covid 19) გავრცელებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვა.
4.ამ მუხლის პირველ, მეორა და მესამე პუნქტში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია,

არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 9. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების წარდგენა განახორციელოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 30 კალენდარულ დღეში არაუმეტეს ორჯერ.
2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი, მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სამუშაოს დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში;
ბ) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
გ) სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;
დ) სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;
ე) შემსყიდველთან შეათანხმოს სამუშაოების განხორციელებისას გამოსაყენებელი მასალ(ებ)ის იერსახე და ხარისხი;
ვ) სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე, საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;
ზ) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.
თ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის მიმწოდებელს არ აქვს მოპოვებული საჭირო დოკუმენტაცია ან ნებართვა, მიმწოდებელი ვალდებულია, სათანადო დოკუმენტაციის ან ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;
ი) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;
კ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
ლ) დაიცვას შემსყიდველის მიერ მისთვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნები და პირობები (მათი არსებობის შემთხვევაში).

მ) სამუშაოს შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხისა და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

ნ)მიმწოდებელმა ობიექტზე სამუშაოს დაწყებამდე უნდა განათავსოს საინფორმაციო დაფა ზომით არანაკლებ 1მX1მ; (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება) (საინფორმაციო დაფაზე დასატანი ინფორმაცია შემსყიდველთან შეთანხმებით);

ო) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სამუშაო მოედნის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა.

2. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი შესრულებული სამუშაო.

მუხლი 11. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველის **მიერ** შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

5. სამუშაოს განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება.

6. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი ან/და ზედამხედველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

7. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების კონტროლის (ინსპექტირება) მიზნით შერჩეული სხვა პირ(ებ)ის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზ(ებ)ი, რის შემდგომაც შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ აამოქმედოს ხელშეკრულებით განსაზღვრული

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს ამ პუნქტში აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, თავისი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა შემსყიდველისთვის წარდგენილი მოცულობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მიმწოდებელს აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა

დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.
6. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.
7. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნებითა და პირობებით (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.
8. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ ზიანზე

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
2. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
ე) მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;
ვ) მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;
ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
თ) ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;
ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 15. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით

მუხლი 16. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - **zestaponi.municipality@gmail.com**) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 17. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი - შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, ხარჯთაღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ტექნიკური დავალება, საპროექტო დოკუმენტაციის განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაციები, ნახაზები, პროექტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2021 წლის 08** იანვრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

შემსყიდველი	მომწოდებელი
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია მერი გიორგი გოგლიჩიძე	შპს „ოქროს საწმისი 2“ დირექტორი:ზურაბ ბებიაშვილი
_____	_____

Zestafoni Municipality
Digitally signed by Zestafoni Municipality
Date: 2020.10.08 16:52:41 +04'00'

Zurab Bebiashvili
Digitally signed by Zurab Bebiashvili
Date: 2020.10.08 17:09:31 +04'00'

ღონისძიება 7

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სანახშირის ადმინისტრაციულ ერთეულში შმოთების უბანში ხიდი-ბოგირის მოწყობა

	კოდი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	ნორმატიული რესურსი	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6		13
1	1--29-6	**მე-3 კატეგორიის ყამირის დამუშავება ბულდოზერით 96 კვტ. გრუნტის 10 მ-ზე გადადგილებით მისასვლელი და ღელეში ჩასასვლელი გზის გაფართოება მოწყობისათვის**	**მ³**		**65,00**	0,00	
		ბულდოზერი 96 კვტ.	მ/სთ	0,0089	0,58	42,47	24,57
2	1--22--15	**მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით 0,5მ³ ჩამჩის მოცულობით მისი გვერდზე გადაყრით საამშენებლო მოედნის და საყრდენების მოსაწყობად**	**მ³**		**40,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,02	0,80	6,00	4,80
		ექსკავატორი 0,5 მ³ ჩამჩის მოცულობით	მ/სთ	0,0448	1,79	43,06	77,16
		სხვა მანქანა	ლარი	0,0021	0,084	3,21	0,27
3	1--80--3 1--81--3	**ასევე ხელით მისი გვერდზე გადაყრით**	**მ³**		**5,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	3,27	16,35	5,88	96,10
4	8--3--2	**მოეწყოს ქვიშა-ხრეშოვანი ფენილი სისქით 10 სმ რკ/ბეტონის საყრდენების ქვეშ**	**მ³**		**2,5**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,89	2,23	7,80	17,35
		სხვა მანქანა	ლარი	0,37	0,93	3,20	2,96
		სხვა მასალა	ლარი	0,02	0,05	3,20	0,16
		ქვიშა ხრეშოვანი ნარევი	მ³	1,15	2,88	11,00	31,63
		ქვიშა ხრეშოვანი ნარევის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე	ტ	1,55	4,456	6,44	28,70

5	6--11--7	**მოეწყოს რკ/ბეტონის მ300 საყრდენები ხიდი-ბოგირის ორივე მხარეს საცირკულაციო ფრთებით, საძირკვლით, კედლის სისქე 40 სმ. hსაშ=3,3მ e=20მ, საძირკვლის ჩაღრმავება h=1მ, ფრთებზე ორივე მხარეს მოაჯირის საყრდენის, მილკვადრატი (40X40X3)მმ h=1მ ყოველ 2 მეტრში დაბეტონებით**	**მ³**		**46,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	5,99	275,54	6,00	1653,24
		სხვა მანქანა	ლარი	1,09	50,14	3,20	160,45
		სხვა მასალა	ლარი	0,32	14,72	3,20	47,10
		ბეტონი მ300	მ³	1,015	46,69	111,00	5182,59
		ბეტონის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე	ტ	2,4	112,06	6,44	721,64
		ყალიბის ფარი25მმ	მ²	1,18	54,28	10,50	569,94
		ხის დახერხილი მასალა III ხარისხის	მ³	0,0299	1,38	474,00	651,94
		ელექტროდი	კგ	1,1	50,600	4,00	202,40
	გამოანგ	არმატურა AIII Ф18მმ	ტ		0,566	1515,00	857,49
	გამოანგ	არმატურა AIII Ф10მმ	ტ		0,660	1515,00	999,90
	გამოანგ	არმატურა AI Ф8მმ	ტ		0,314	1775,00	557,35
	გამოანგ	არმატურა AIII Ф22მმ ჩასატანებელი დეტალებისათვის	ტ		0,042	1515,00	63,63
	გამოანგ	ლითონის ფურცელი ჩასატანებელი დეტალებისათვის სისქით 10მმ	ტ		0,044	1990,02	87,76
	გამოანგ	მილკვადრატი (40X40X3)მმ	მ		6,00	5,59	33,54
6	8--4-7	**რკ/ბეტონის საყრდენების იზოლაცია ბიტუმის მასტიკით**	**მ²**		**70,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,336	23,52	7,80	183,46
		სხვა მანქანა	ლარი	0,015	1,05	3,20	3,36
		სხვა მასალა	ლარი	0,0228	1,60	3,20	5,11
		ბიტუმის მასტიკა	ტ	0,0024	0,17	923,99	155,23

7	30--28--2 მისადაგებით	**ხიდი-ბოგირის სავალი ნაწილის მოწყობა ლითონ კონსტრუქციით. (სქელკედლიანი ორტესებრი კოჭი №40 e=12მ. ორტესებრი კოჭი №10 e=27მ, კუთხოვანა (100X100)X5 e=25მ, ფოლადის ფურცელი სისქით 8მმ- 26მ²)**	**1კონტ**		**1,0**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	240	240,00	6,00	1440,00
		სხვა მანქანა	ლარი	0,54	0,54	3,20	1,73
		სხვა მასალა	ლარი	25,9	25,90	3,20	82,88
	გამოანგ	სქელკედლიანი ორტესებრი კოჭი №40	მ		12,00	136,31	1635,72
	გამოანგ	ორტესებრი კოჭი №10	მ		27,00	12,30	332,10
	გამოანგ	კუთხოვანა (100X100)X5	მ		25,00	16,90	422,50
	გამოანგ	ლითონის ფურცელი სისქით 8მმ	მ²		26,00	123,40	3208,40
		ლითონის კონსტრუქციების ტრანსპორტირება 15 კმ-ზე	ტ		2,87	6,44	18,48
8	30-48-1	**დამზადდეს და დამონტაჟდეს ლითონის მოაჯირები ხიდი-ბოგირის ორივე მხარეს, საყრდენები (40X40X3)მმ მილკვადრატისაგან h=1მ ყოველ 2მ-ში, გრძივები მილკვადრატი (20X40X2)მმ 3 რიგად e=20მ,**	ტ		**0,135**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	31,4	4,24	6,00	25,43
		სხვა მანქანა	ლარი	0,37	0,05	3,20	0,16
		სხვა მასალა	ლარი	28,9	3,90	3,20	12,48
	გამოანგ	მილკვადრატი (40X40X3)მმ	მ		6,00	5,59	33,54
	გამოანგ	მილკვადრატი (20X40X2)მმ	მ		60,00	3,05	183,00
9	15--164--8	**შეიღებოს ლითონის მოაჯირები ზეთ. საღებავით**	**მ²**		**10,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,68	6,80	7,80	53,04
		სხვა მანქანა	ლარი	0,0003	0,003	3,33	0,01
		სხვა მასალა	ლარი	0,0019	0,019	3,16	0,06
		ოლიფა	კგ	0,027	0,27	4,52	1,22
		ზეთ. საღებავი გამზადილი	კგ	0,246	2,46	3,50	8,61

10	1--23--3	**არსებული გრუნტის უკუჩაყრა ხიდ-ბოგირის საყრდენების უკან ექსკავატორით 0,4მ³ ჩამჩის მოცულობით**	**მ³**		**75,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,0283	2,12	6,00	12,74
		ექსკავატორი 0,4მ³ ჩამჩის მოცულობით	მ/სთ	0,0634	4,76	32,73	155,63
11	27--7--2	**ხიდ-ბოგირის საყრდენების უკან და მისასვლელ გზაზე ქვიშა ხრეშოვანი ფენილის მოწყობა**	**მ³**		**50,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,15	7,50	6,00	45,00
		ავტოგრეიდერი 79კვტ.	მ/სთ	0,0216	1,08	31,99	34,55
		სატკეპნი 18 ტონიანი პნევმოსვლაზე	მ/სთ	0,0273	1,37	40,95	55,90
		მოსარწყავი მანქანა 6000 ლიტრიანი	მ/სთ	0,0097	0,49	55,96	27,14
		ქვიშა ხრეშოვანი ნარევი	მ³	1,22	61,00	11,00	671,00
		ქვიშა ხრეშოვანი ნარევის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე	ტ	1,55	94,55	6,44	608,90
		წყალი	მ³	0,07	3,500	2,82	9,87
12	27--62-6 მისადაგებით	**ხიდ-ბოგირის მარჯვენა და მარცხენა საყრდენთან გაბიონის მოწყობა მოთუთიებული ყუთების, ქვის მოწყობით (2X1X1)მ 4 ცალი (1,5X1X1)მ 4 ცალი (1X1X1)მ 2ცალი**	**მ³**		**16,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	2,25	36,00	6,00	216,00
	გამოანგ	ყორე ქვა გაბიონისათვის	მ³	1,04	16,64	15,00	249,60
	გამოანგ	გაბიონის მოთუთიებული ყუთები (2X1X1) მავთულბადის სისქით 2,7მმ	ც		4,00	65,60	262,40
	გამოანგ	გაბიონის მოთუთიებული ყუთები (1,5X1X1) მავთულბადის სისქით 2,7მმ	ც		4,00	51,10	204,40

	გამოანგ	გაბიონის მოთუთიებული ყუთები (1X1X1) მავთულბადის სისქით 2,7მმ	ც		2,00	38,10	76,20
	გამოანგ	გაბიონის შესაკრავი მავთულის ღირებულება სისქით 2,2მმ	კგ		4,00	2,90	11,60
		მანქანები ქვის ტრანსპორტირებისათვის	ტ		33,50	6,44	215,74
		ჯამი -					**22735,86**
		ზედნადები ხარჯები		**10%**			**2273,59**
		ჯამი					**25009,45**
		გეგმიური დაგროვება		**8%**			**2000,76**
		ჯამი					**27010,20**
		გაუთვალისწინებელი ხარჯები		**3%**			**810,31**
		ჯამი					**27820,51**
		დღგ		**18%**			**5007,69**
		ჯამი					**32828,20**

შპს ოქროს საწმისი 2

დირექტორი: Zurab Bebiashvili Подписано цифровой подписью: Zurab Bebiashvili Дата: 2020.09.24 12:13:23 +04'00' ზ. ბებიაშვილი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერ. ორგანო

დანართი 4

მშენებლობის ორგანიზაციის კალენდარული და თანხობრივი გეგმა გრაფიკი (60 დღე)

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო დრო (დღე)	კალენდარული გრაფიკი								სამუშაოს ჯამური ღირებულება (ლარი)
			I თვე				II თვე				
			I	II	III	IV	I	II	III	IV	
	მე3 კატეგორიის ყამირის დამუშავება და მისი გადაყრა	5	409,63								409,63
	ქვიშა-ხრეშის ფენილი და საყრდენების მოწყობა	10	7210	9928,7							17138,7
	რკ/ბეტონის საყრდენების იზოლაცია ბიტუმის მასტიკით	1			501,26						501,26
	ხიდი-ბოგირის საავალი ნაწილის მოწყობა ლითონ კონსტრუქციით. (სქელკედლიანი ორტესებრი კოჭი №40 e=12მ. ორტესებრი კოჭი №10 e=27მ, კუთხოვანა (100X100)X5 e=25მ, ფოლადის ფურცელი სისქით 8მმ- 26მ²)	5			10312,03						10312,03
	დამზადდეს და დამონტაჟდეს ლითონის მოაჯირები ხიდი-ბოგირის ორივე მხარეს, საყრდენები (40X40X3)მმ მილკვადრატისაგან h=1მ ყოველ 2მ-ში, გრძივები მილკვადრატი (20X40X2)მმ 3 რიგად e=20მ,	2				367,63					367,63
	შეიღებოს ლითონის მოაჯირები ზეთ. საღებავით	2				90,88					90,88
	არსებული გრუნტის უკუჩაყრა ხიდ-ბოგირის საყრდენების უკან ექსკავატორით 0,4მ³ ჩამჩის მოცულობით	1					243,11				243,11
	ხიდ-ბოგირის საყრდენების უკან და მისასვლელ გზაზე ქვიშა ხრეშოვანი ფენილის მოწყობა	1						1981			1981,25

	ხიდ-ბოგირის მარჯვენა და მარცხენა საყრდენთან გაბიონის მოწყობა მოთუთიებული ყუთების, ქვის მოწყობით (2X1X1)მ 4 ცალი (1,5X1X1)მ 4 ცალი (1X1X1)მ 2ცალი	10							980,71	803	1783,71
	ასათვისებელი თანხის საორიენტაციო რაოდენობა განსახორციელებელი სამუსაოების მიხედვით (ლარი)		7619,63	9928,7	10813,29	458,51	243,11	1981	980,71	803	32828,2
			28820,13				4008,07				

შენიშვნა: გეგმა გრაფიკში სამუშაოების ჯამურ ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი:

Zurab Bebiashvili

Подписано цифровой подписью: Zurab Bebiashvili
Дата: 2020.09.30 13:36:32 +04'00'

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერ
ზურაბ ბებიაშვილი

MUNICIPALITY OF ZESTAFONI CITY HALL 230087045

დანართი 2

სოფ. მარტოთუბანში მოკლე გზით ასასვლელის მოწყობა

	კოდი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	ნორმატიული რესურსი	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6		13
1	1--80-3 1-81-3	**1.) საამშენებლო ნაწილი** **----„----** **დამუშავდეს III-ე კატეგორიის ყამირი ხელით ა/მანქანაზე დატვირთვისთ ასასვლელი გზის გაფართოების, ლენტური საძირკვლების ასასვლელი კიბის პროფილის მოწყობის მიზნით**	**მ³**		**95,00**		
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	3,270	310,65	6,00	1863,90
2	8-3--2	**მოეწყოს ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ფენილი სისქით 5 სმ**	**მ³**		**10,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,890	8,90	7,80	69,42
		სხვა მანქანა	ლარი	0,370	3,70	3,20	11,84
		სხვა მასალა	ლარი	0,020	0,20	3,20	0,64
		ქვიშა ხრეშოვანი ნარევი	**მ³**	1,150	11,50	11,00	126,50
		ქვიშა ხრეშოვანი ნარევის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე	ტ	1,550	17,83	8,11	144,56
	6--13-3	**მოეწყოს 3 ლოკაციაზე ბეტონის კედელი მ300 e=22მ B=20 სმ hსაშ=2,00მ საძირკვლით**	**მ³**		**14,50**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	9,090	131,81	6,00	790,83
		სხვა მანქანა	ლარი	0,760	11,02	3,20	35,26

3		სხვა მასალა	ლარი	0,490	7,11	3,20	22,74
		მ300	მ³	1,020	14,79	111,00	1641,69
		ბეტონის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე (14,79X2,4)	ტ	2,40	35,50	8,11	287,87
		ყალიბის ფიცარი 25მმ	მ²	2,640	38,28	10,50	401,94
		დახერხილი ხის მასალა III ხარისხის 40⬋60მმ	მ³	0,0598	0,87	431,00	373,72
4	11--1--1	**მოეწყოს ასასვლელი ბილიკი, კიბის ბაქნები ბეტონისაგან მ300 სიგანით Bსაშ=1,0მ სისქით 10 სმ**	**მ³**		**10,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	2,9	29,00	6,00	174,00
		სხვა მაალა	ლარი	0,88	8,80	3,20	28,16
		ბეტონის მ300	მ³	1,02	10,200	111,00	1132,20
		ბეტონის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე (10X2,4)	ტ	2,4	24,480	8,11	198,53
5	29--142--2	**მოეწყოს მონოლითური კიბის საფეხურები მ300 სიგანით 1,0მ**	მ³		**5,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	16,000	80,00	6,00	480,00
		სხვა მანქანა	ლარი	0,0421	0,21	3,18	0,67
		სხვა მასალა	ლარი	0,336	1,68	3,20	5,38
		ცემენტის ხსნარი მ100	მ³	0,0556	0,28	87,99	24,46
		ბეტონი მ300	მ³	1,020	5,10	111,00	566,10
		ხის მასალა დახერხილი III ხარისხის 25⬋32 მმ	მ³	0,118	0,59	431,00	254,29
		ბეტონის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე	ტ	2,400	12,24	8,11	99,27
6	1--80-3 1-81--3	**გაიჭრას მე3 კატეგორიის ყამირში ხელით წერტილოვანი საძირკვლები ა/მანქანაზე დატვირტვით 50(0,30X0,3)0,6 ყოველ 2 მ-ში**	**მ³**		**2,70**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	3,270	8,83	6,00	52,97
	6--1--2	**მოეწყოს ბეტონის წერტილოვანი საძირკვლები მ100**	მ³		**2,70**	0,00	

7		შრომის დანახარჯები	კ/სთ	4,5000	12,15	6,00	72,90
		სხვა მანქანა	ლარი	0,3700	1,00	3,20	3,20
		სხვა მასალა	ლარი	0,280	0,76	3,20	2,42
		ბეტონი მ300	მ³	1,0200	2,75	95,00	261,63
		ბეტონის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე (4,59X2,4)	ტ	2,40	6,61	8,11	53,60
		ყალიბის ფარი 25მმ	მ²	1,61	4,35	10,50	45,64
		ხის მასალა დახერხილი III ხარისხის 40 მმ	მ³	0,017	0,05	431,09	20,02
8	6--9-6 მისადაგებით	**დამზადდეს და ჩაბეტონდეს ლითონის მილკვადრატისაგან საყრდენები (60X60) მმ კედლის სისქე 3მმ h=1,60მ ყოველ 2 მეტრში ლითონის მოაჯირის მოსაწყობად h=1მ**	ტ		**0,46**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	39,2	18,07	6,00	108,43
		სხვა მანქანა	ლარი	14,8	6,82	3,20	21,83
		სხვა მასალა	ლარი	0,4	0,184	3,20	0,59
		მილკვადრატის საყრდენები (60X60)მმ კედლის სისქე 3მმ e=1,6მ	ც		51,000	13,76	701,76
		ლითონის ფურცელი საყრდენების თავზე სისქით 3მმ (60X60)მმ	მ²		0,200	48,30	9,66
9	30-48-1 მისადაგებით	**დამზადდეს და დამონტაჟდეს საყრდენებს შორის მილკვადრატის გრძივები (20X40)მმ კედლის სისქე 2მმ 3 რიგად**	ტ		**0,56**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	31,4	17,71	6,00	106,26
		სხვა მანქანა	ლარი	0,37	0,21	3,21	0,67
		სხვა მასალა	ლარი	28,9	16,30	3,20	52,16
		მილკვადრატი (20X40)მმ კედლის სისქე 2მმ	გ/მ		300,000	2,71	813,00
10	15--164-8	**შეიღებოს ლითონის მოაჯირები ზეთის საღებავით**	**მ²**		**60,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,68	40,80	7,80	318,24
		სხვა მანქანა	ლარი	0,0003	0,02	3,33	0,06
		სხვა მასალა	ლარი	0,0019	0,11	3,16	0,36
		ოლიფა	კ/გ	0,027	1,62	4,50	7,29

		ზეთ. საღებავი გამზადილი	კ/გ	0,246	14,76	3,50	51,66
11	33--301-1 მისადაგებით	**დამზადდეს და ჩაბეტონდეს განათების შედგენილი ელ საყრდენები მილებისაგან Φ100მმ კედლის სისქე 4მმ Φ50მმ კედლის სისქე 3მმ მიწის ზედაპირიდან h=3მ**	**ც**		**3,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	3,640	10,92	6,00	65,52
		სხვა მასალა	ლარი	0,214	0,64	3,19	2,05
	გამოანგ.	ლითონის მილი Φ50მმ კედლის სისქე 3მმ	გ/მ		3,00	6,20	18,60
		ლითონის მილი Φ100მმ კედლის სისქე 4მმ	გ/მ		12,00	20,25	243,00
		ავტო-ამწე 6,3 ტონიანი	მ/სთ	0,0356	0,11	16,29	1,74
12	ს/ფასი 2019წ 14--10 II კვ	**ზედმეტი გრუნტის და საამშენებლო ნარჩენისა გატანა 10 კმ-ზე**	ტ		140,00	5,84	817,60
		ჯამი -------					12586,83
		ზედნადები ხარჯები --%	**10%**				1258,68
		ჯამი -----					13845,51
		გეგმიური დაგროვება % -----	**8%**				1107,64
		ჯამი ----------					14953,15
1	8-402-2 მისადაგებით	**2) ელ სამონტაჟო სამუშაოები ------„-------- დამონტაჟდეს თვითმზიდი კაბელი СИП-1 (2Х16)მმ²**	**მ**		**60,00**		
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,130	7,80	4,60	35,88
		სხვა მანქანა	ლარი	0,037	2,22	3,20	7,10
		თვითმზიდი კაბელი СИП-1 (2Х16)მმ	მ	1,020	61,20	1,30	79,56
2	8-402-2 მისადაგებით	**დამონტაჟდეს სამონტაჟო კაბელი (2Х2,5)მმ²**	მ		**3,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	0,130	0,39	4,59	1,79
		სხვა მანქანა	ლარი	0,037	0,11	3,20	0,36
		სამონტაჟო კაბელი (2Х2,5)მმ²	მ		3,00	1,50	4,50
		კაბელის შუალედური დამჭერი	ც		3,00	5,00	15,00
		ამყვანი დამჭერი	ც		6,00	3,00	18,00

3	8-617-2 მისადაგებით	**დამონტაჟდეს ელ საყრდენებზე ღამის გარე განათების ლედ-სანათები 50 ვტ-იანი მრავალწერტილოვანი თეთრი ნათებით მეტალო-კორპუსით**	**კომ**		**3,00**	0,00	
		შრომის დანახარჯები	კ/სთ	2,080	6,24	6,00	37,44
		სხვა მანქანა	ლარი	0,6680	2,00	3,20	6,41
		ღამის გარე განათების ლედ-სანათები მრავალწერტილოვანი თეთრი ნათებით 50 ვტ-იანი	კომპ		3,00	60,00	180,00
		ჯამი -------					**386,04**
		ზედნადები ხარჯები ელ გაყვანილობის მონტაჟის ხელფასზე ლარზე --%	**75%**	**75,11**			**56,33**
		ჯამი -----					**442,37**
		გეგმიური დაგროვება % -----	**8%**				**35,39**
		ჯამი ----------					**477,76**
		ჯამი 1,2 თავის ---------					**15430,91**
		გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%---	**3%**				**462,93**
		ჯამი ----					**15893,84**
		დღგ 18%-----	**18%**				**2860,89**
		ჯამი ----------					**18754,73**

Zurab Bebiashvili

Подписано цифровой подписью: Zurab Bebiashvili
Дата: 2020.10.01 18:33:12 +04'00'

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი
ზურაბ ბებიაშვილი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
MUNICIPALITY OF ZESTAPHONI
230087045
CITY HALL
ქალაქის მერია

სოფ. მარტოთუბანში მოკლე გზით ასასვლელის მოწყობა

დანართი 4

მშენებლობის ორგანიზაციის კალენდარული და თანხობრივი გეგმა გრაფიკი (60 დღე)

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო დრო (დღე)	კალენდარული გრაფიკი								სამუშაოს ჯამური ღირებულება (ლარი)
			I თვე				II თვე				
			I	II	III	IV	I	II	III	IV	
1	დამუშავდეს III-ე კატეგორიის ყამირი ხელით	5	2691,28								2691,28
2	მოეწყოს ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ფენილი სისქით 5 სმ	2	509,64								509,64
4	მოეწყოს 3 ლოკაციაზე ბეტონის კედელი მ300 e=22მ B=20 სმ hსაშ=2,00მ საძირკვლით	7		5131							5131
5	მოეწყოს ასასვლელი ბილიკი, კიბის ბაქნები ბეტონისაგან მ300 სიგანით Bსაშ=1,0მ სისქით 10 სმ	5			2213,33						2213,33
6	მოეწყოს მონოლითური კიბის საფეხურები მ300 სიგანით 1,0მ	2				2065,02					2065,02
7	გაიჭრას მე3 კატეგორიის ყამირში ხელით წერტილოვანი საძირკვლები ა/მანქანაზე დატვირტვით 50(0,30X0,3)0,6 ყოველ 2 მ-ში	2				76,48					76,48
8	მოეწყოს ბეტონის წერტილოვანი საძირკვლები მ100	2					663,3				663,3
9	დამზადდეს და ჩაბეტონდეს ლითონის მილკვადრატისაგან საყრდენები (60X60) მმ კედლის სისქე 3მმ h=1,60მ ყოველ 2 მეტრში ლითონის მოაჯირის მოსაწყობად h=1მ	5					1216,15				1216,15
10	დამზადდეს და დამონტაჟდეს საყრდენებს შორის მილკვადრატის გრძივები (20X40)მმ კედლის სისქე 2მმ 3 რიგად	2						1403,6			1403,6
11	შეიღებოს ლითონის მოაჯირები ზეთის საღებავით	1						545,23			545,23

12	დამზადდეს და ჩაბეტონდეს განათების შედგენილი ელ საყრდენები მილებისაგან Φ100მმ კედლის სისქე 4მმ Φ50მმ კედლის სისქე 3მმ მიწის ზედაპირიდან h=3მ	2							478,5		478,5
13	ზედმეტი გრუნტის და საამშენებლო ნარჩენისა გატანა 10 კმ-ზე	1							1180,5		1180,5
14	ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	7								580,7	580,77
	ასათვისებელი თანხის საორიენტაციო რაოდენობა განსახორციელებელი სამუსაოების მიხედვით (ლარი)		3200,92	5131	2213,33	2141,5	1879,45	1948,83	1659	580,7	18754,73
			12686,75				6067,98				

შენიშვნა: გეგმა გრაფიკში სამუშაოების ჯამურ ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი:

Zurab Bebiashvili

Подписано цифровой подписью: Zurab Bebiashvili
Дата: 2020.10.01 18:32:51 +04'00'

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი
ზურაბ ბებიაშვილი

MUNICIPALITY OF ZESTAFONI CITY HALL 230087045

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2020 წლის 8 ოქტომბერი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 მარტის #43 265 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელი. სანახშირის ადმ.ერთ. შმოთების უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობისა და სოფელ მარტოთუბანში მოკლე გზით ასასვლელის მოწყობის შესყიდვასთან დაკავშირებით არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს ,,ოქროს საწმისი 2"-ის დირექტორთან ზურაბ ბებიაშვილთან.

გიორგი გოგლიჩიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

---

1. დავით მალრაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი)----
2. ნიკოლოზ ბარბაქაძე (ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე)----
3. მამუკა ლომინაშვილი (ჯგუფის წევრი)----
4. დემური სვიანაძე (ჯგუფის წევრი)----
5. მალხაზ ბაკაშვილი (ჯგუფი წევრი)----
6. თეიმურაზ წიწილაშვილი (ჯგუფის წევრი)----